




საქართველოს



იმისთანა წმინდა საღმრთო,
ბრძოლით ბეჭდული სიფყვას,
ცყულებით და ჭაბუბით ბუბის
გაცანა ყველა უკადრისდაზგ
უსამაგლესია.

 **დაარსებულია**
1918 წელს. 

შაბათი, 7 სექტემბერი, 2013 წელი.

№171 (7298)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge **ვებ გვერდი: www.open.ge** **ფასი 50 თეთრი.**

ბიძინა ივანიშვილი

სასწაულოებები

პერ იძნება!..



3

დიდი მეცნიერი, ამაბღარი მამულიშვილი

2013 წლის 9 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი აკადემიის სხდომათა დარბაზში ატარებენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს **ვიქტორ კუპრაძის** დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომას.

საიუბილეო ღონისძიებები გაგრძელდება ქ. ბათუმში, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენციით (10-15 სექტემბერი), რომლის მუშაობაში მონაწილეობის სურვილი განაცხადა 250-მდე მეცნიერმა, მათ შორის 70-მდე უცხოელია.



5

თბილისა ვაშინგტონს სირიის საკითხში მხარი დაუჭირა

8



ბერძნული მესაპრტი ქართულ ციხეებში სისტემურ დანაშაულს სწავლობს

11


საზვილიზვილო ქართული საქმე

დაუმორჩილებლობა თუ საბოტაჟი?

4



10



6 7

როგორ დაგლოკუს „დინაო“...

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვავან ვერ ნახავ!..

ვიზიტი

ბიძინა ივანიშვილი ლატვიაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ლატვიის რესპუბლიკას ესტუმრა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, ოფიციალური შეხვედრების დაწყებამდე, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ლატვიელ კოლეგასთან ერთად, თავისუფლების მონუმენტი ყვავილებით შეამკო.

ბიძინა ივანიშვილი ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრს შეხვდა. ასევე, შეხვედრა გამართა ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერთან.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებიან: საგარეო საქმეთა მინისტრი მიაი ფანჯიკიძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი

კვირიკა შვილი, ევროპული და ევროატლანტიკურ ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი გიორგი პერტაია.

ბიძინა ივანიშვილის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, შეხვედრა ვალდის დომბროვსკისთან ლატვიის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში გაიმართა.

შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ლატვიის გამოცდილებას



გაზიარებას ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით.

პრემიერ-მინისტრებმა ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

საუბარი შეეხო, როგორც პოლიტიკური ურთიერთობების, ისე ეკონომიკური, კულტურული, ენერგეტიკული, სანტრასპორტო თუ სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის გაფართოების საკითხებს.

კანონი უპირობოა?

პარლამენტი ელჩებს ვეღარ დაამტკიცებს

„დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ აღნიშნული კანონის ახალ კონსტიტუციურ დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანას უკავშირდება, დიპლომატიური სამსახურების ხელმძღვანელ პირებს პრეზიდენტი და მთავრობა, პარლამენტის გვერდის ავლით დანიშნავს და მოხსნის.

სადღესოდ მოქმედი კანონით, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს პრეზიდენტი თანამდებობაზე პარლამენტის თანხმობის მიღების შემდეგ, ათი დღის ვადაში ნიშნავს, ხოლო თანამდებობიდან ანთავისუფლებს საგარეო საქმეთა მინისტრის წარდგინებით. პარლამენტში ინიცირებული პროექტის გათვალისწინებით კი, ელჩებს პრეზიდენტი დანიშნავს და მოხსნის მთავრობის წარდგინებით. კანონპროექტის მიხედვით, დიპლომატიების დამტკიცების საქმეში პარლამენტი აღარ ერევა.

„დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების ავტორი და ინიციატორი საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის წარმომადგენლები თვლიან უაღრესად და ანიშნა, რომ კომიტეტისთვის კანონპროექტი მიუღებელია, თუმცა იძულებულია, მხარი დაუჭიროს. — მიმაჩნია, რომ წარმომადგენელი ცვლილება სწორი

არ არის, მაგრამ კონსტიტუცია, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა ამოქმედდეს, ელჩების დამტკიცებაში პარლამენტის როლს არ ითვალისწინებს. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ პარლამენტის როლი კნინდება, არამედ ელჩებსაც, რომლებიც პარლამენტის მიერ არიან დამტკიცებულნი, ბევრად მაღალი ლეგიტიმაცია გააჩნიათ, — განაცხადა მიროტაძემ ინიციატივის წარდგენისას.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ირაკლი ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ პარლამენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სწორედ საგარეო პოლიტიკის ზედამხედველობაა, ხოლო ელჩები ის თანამდებობის პირები არიან, რომლებიც ამას უშუალოდ ახორციელებენ.

საკითხზე მსჯელობისას, დეპუტატების მხრიდან რამდენჯერმე ითქვა, რომ ელჩებთან მიმართებაში კონსტიტუციიდან პარლამენტის ამოღების გადაწყვეტილება, მათთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. ამასთან, როგორც კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, მას შემდეგ, რაც კონსტიტუციის ფუნდამენტური გადახედვის მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო კომისია მუშაობას დაიწყო, ეს ერთ-ერთი საკითხი უნდა იყოს, რომელიც აუცილებლად გადაიხედება და შეიცვლება.

„ქაჯავის სპეციალისტი“ დავას განაგრძობს

სალომე ზურაბიშვილი ეკა ბესელიას და თეა წულუკიანს მიმართავს

სალომე ზურაბიშვილი პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას და იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს მიმართავს. ზურაბიშვილი ბესელიასა და წულუკიანს სთხოვს, ცესკოს გადაწყვეტილებას კანონიერებაზე დამატებითი კონსულტაციებისთვის ვენეციის კომისიას მიმართოს.

— მოგესხენებათ, გადამწყვეტილი მაცეს, მონანილეობა მივიღო 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. ჩემი კანდიდატურის დარეგისტრირების მიზნით, საინიციატივო ჯგუფმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უკვე მიმართა, თუმცა უარი მიიღო. არა მხოლოდ საინიციატივო ჯგუფში შემავალი იურისტები, არამედ ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციები („ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“, „სამართლიანი არჩევნები“, „ქართველი კონსტიტუციონალისტები“), საერთაშორისო ექსპერტები, ადგილობრივი და საერთაშორისო პოლიტიკური წრეები, დიპლომატიები თანხმდებიან, რომ გადაწყვეტილება უკანონოა.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, გთხოვთ, დამატებითი

განმარტებებისთვის მიმართოთ ვენეციის კომისიას, რომელიც აგრეთვე მზად არის, შეაფასოს, რამდენად მართებულად ხდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ქვეყნის უმაღლესი კანონის — კონსტიტუციის დაცვა და განმარტება, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირების შესახებ, — ნათქვამია სალომე ზურაბიშვილის მიმართვაში.

სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი 3 სექტემბერს უთხრა.

სალომე ზურაბიშვილმა ცესკოს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა.

თბილისის საქალაქო სასამართლო სალომე ზურაბიშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა. სალომე ზურაბიშვილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას მოითხოვდა, რომლითაც მას ცესკომ საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციაზე უარი განუცხადა.

მოსამართლემ მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი წაიკითხა. მანამდე კი პროცესზე სალომე ზურაბიშვილის ინტერესებს საია იცავდა.

საია-ს წარმომადგენლებს თქმით, ცესკოს გადაწყვეტილება იყო საფუძველს მოკლებული, რადგან ცესკოს გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო, რომ სალომე ზურაბიშვილს არ შეეძლო საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად დარეგისტრირება, რადგან კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი არ შეიძლება გახდეს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი. საია-ს წარმომადგენლები კი აღნიშნავენ, რომ კანონის მიხედვით, კანდიდატად დარეგისტრირებას ორმაგი მოქალაქეობა ხელს არ უშლის, თუმცა ცესკოს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ცესკოს გადაწყვეტილება კანონიერი იყო და იმ შემთხვევაშიც კი, თუ სალომე ზურაბიშვილი კანდიდატად დარეგისტრირდებოდა, გამარჯვების შემთხვევაში ის ინაუგურაციამდე უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შეჩერებას ვერ მოახსენებდა.

სალომე ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს დემოკრატიის ისტორიაში კიდევ ერთი შავი ლაქა იქნება.

ცესკოს წარმომადგენლები კი მიიჩნევენ, რომ სასამართლომ დღეს კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო.

სალომე ზურაბიშვილი გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს. ამისთვის მას ორი დღე აქვს.

კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ხვალ იტყვის მყინვარწვერზე იმიტომ ავედი ციკლონს გადავეფარეო.

● ბევრი ვიფიქრე, თუ ცოტა ვიფიქრე, ერთ დასკვნამდე მივდი: გამართლებას ვეძებდი, ოცნების მხარდამჭერებში — კოპაბიტანტობის!

ვეძებდი რადგან თანმებრძოლები ვიყავით მართლა სამკვედრო-სასიცოხლო ომში, ვერ ვიჯერებ, რომ ნაციონალები შეიკოპაბიტაციეს!!!!

თანაც, ასე სწრაფად! მივედი დასკვნამდე! როგორც სხვადასხვა ველევიდან იკვეთება, ნინო ბურჯანაძე — გიორგი მარგველაშვილი, მეორე ტური იქნება!

მეორე ტურისთვის, გამოთავისუფლდება ნაციონალური ბაქრაძის ხმები — 8-12% და ეს ხმები, სულ ყველა, წავა ოცნების კანდიდატის ყულაბაში! რადგან, არც ერთი ნაციონალური, არ მისცემს ხმას, ნინო ბურჯანაძეს. ამ ხმებით აპირებს გამარჯვებას „ოცნება“ — ამიტომაც ეფერებიან, გამუდმებით!

სინამდვილეში, კრიმინალ ნაციონალებს, არც „ოცნება“ არ დაინდობს და უდანაშაულოებს, არც ნინო ბურჯანაძე შესჭამს ცოცხლად...

სამაგიეროდ „ოცნებამ“ მაქსიმალურად დაასაქმა ნაციონალები და ამით, უდიდესი იმედი და მოლოდინი გაუჩინა! ვოტტ ტააკკ. „ოცნების“ ასეთ წინასაარჩევნო მათემატიკას, მე ვამართლებ — „პრაიზნო“?

● სირიის მშვიდობიან მოსახლეობას სოლიდარობას ვუცხადებ. იქაც ჩვენნი დედები, ქალები, შვილები და ადამიანები ცხოვრობენ. ტელევიზიით ვნახე (არ მახსოვს რომელ არხზე), დედა ყველადა, ჩემს შვილს ექიმი უნდოდა გამოსულიყო... ომის მსხვერპლი გახდა უდანაშაულო გოგონა. მამის ცრემლებმა და დარდიანმა სახემ ძალიან იმოქმედა ჩემზე... ამერიკა ასეთი ომების გამჩალებელი დემოკრატიის ნილაბით! ძირს ამერიკის დამპყრობლური რეჟიმი, აი, ეს უნდა გააპროტესტოს მთელი მსოფლიოს და მათ შორის ჩვენი ქვეყანის მოსახლეობამაც!



● კოპაბიტუტკა!

● ვზივარ და ვისხენებ გასულ 9 წელს... მხოლოდ შავ-თეთრი კადრებია... მახსოვს, ერთხელ მიტინგიდან დიდ დილოში ფეხით ვბრუნდებოდი და მტკვრის სანაპიროზე მოხუცი მეთევზე გადამეყარა. შეკითხვა, — კაცო, არ დაილაღეთ? დაინდობ, ხომ სედავთ, რომ ძლიერები არიან... გაავარძელე გზა-ფეხით. მივდივარ და ვტირივარ... 9 წელი გავიდა... მეგონა, დასრულდა... თურმე, არა... გრძელდება... ვერც ამოვისუნთქეთ, ისე გრძელდება... კურდღლები და ვირები ბუფაურობენ... სამშობლოს გამყიდველები და მლიქვნელები და-ინაურებულნი არიან...

● ძველ ხელისუფლებაში საამაყო რომ არაფერი გვექონდა, დუნია იცოდა. ახალი ხელისუფლების პირობებში კი, პირველად ვიამყე ჯანდაცვის მინისტრით სერგეენკოთი, კაცო, ექიმების ღირსებაც დაიცვა და იმ დამძალ თურქს დედამისისაც დაახურა თავზე!

ამოკრება
ზივა ბაზრიძე

სტიქია

რა წარალი მოგვადგა?

წინასწარი მონაცემებით, 4-5 სექტემბერს სტიქიამ დასავლეთ საქართველოს 3 მილიონი ლარის ზარალი მიაყენა.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე შოთა მურღულიანი განაცხადა, ზარალის ზუსტი ოდენობა 4 დღეში იქნება ცნობილი.

შოთა მურღულიას ინფორმაციით, დასავლეთ საქართველოს რეგიონის თვითმმართველობებში ზარალის დამოუკლავი კომისია 24-საათიან რეჟიმში მუშაობს.

როგორც შოთა მურღულიანი აღნიშნა, ის და სამინისტროს წარმომადგენლები 4 სექტემბრის დღის მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდნენ.

სამინისტროს წარმომადგენლები, მთელი ღამის განმავლობაში მოძრაობდნენ შავი ზღვისპირა მუნიციპალიტეტებში და, ადგილობრივი

თვითმმართველობის ხელმძღვანელებთან ერთად, ვითარებას აკონტროლებდნენ.

მინისტრის მოადგილის განმარტებით, 4 სექტემბრის 20.00 საათიდან ინტენსიურად დაიწყო წვიმა, რომელიც 24 საათზე გახშირდა და დღის 03.00 საათისთვის პიკს მიაღწია.

სამინისტროს მიერ წინასწარ იყენებულ მონაცემებით, შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობები, რომლებიც მაქსიმალურად იყვნენ მოზობილები და 24-საათიან რეჟიმში მუშაობდნენ.

4-5 სექტემბრის სტიქიის შედეგად, ზიანი მიაღწა ქალაქ ბათუმს, ქედასა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებს. ზიანი გამოიწვია უხვმა ნალექმა (დაიტბორა გზები; გაიგვსო სანიაღვრე არხები; აღიდა მდინარეები, რის შედეგადაც რამდენიმე თვითმმართველობაში მოძრაობდნენ შავი ზღვისპირა მუნიციპალიტეტებში და, ადგილობრივი



ძირითადი ზიანი მიაღწა ქალაქ ბათუმს — დაიტბორა რამდენიმე ქუჩა; ათეულობით ოჯახს დაეტბორა საკარმიდამო ნაკვეთები; საჭირო გახდა რამდენიმე ოჯახის სხვა სახლებში გადაყვანა, რაც ოპერატიულად განახორციელა ადგილობრივმა თვითმმართველობამ და აჭარის ავტონომიურმა ხელისუფლებამ.

ინტერპრესი


ჟოლიკა

მჯერა, ისევე გობეგაშვილი ასლას გაიმარჯვებს!..

პასუხად ბ-ნ ზურაბ ცუცქერიძეს

ბ-ნ ზ. ცუცქერიძე შეგვახსენებს, რომ „დადგენილია, რაც უფრო ადრეულ ასაკში დაიწყება უცხოური ენის შესწავლა, მით უფრო ეფექტურია იგი“...

ტომ მოვიშველიე, რომ მეთქვა — ეს თანამედროვე მეცნიერული პოზიციაა. ამაში უნდა დამეთანხმოთ: აკად. შ. ნადირაშვილი დიდი ავტორიტეტით თანამედროვე ფსიქოლოგი-აში... საგაზეთო წერილი ამას ვერ აიტანდა, თორემ უფრო ვრცლად შეიძლებოდა ამ თემაზე საუბარი; თუნდაც საქვეყნოდ ცნობილი ჰუმბოლდტოლოგის, პროფ. გურამ რამიშვილის მონოგრაფია გავისწავლოთ „დედა-ენის თეორია. დედაენა, მისი ფუნქციები და სწავლება“ (2000 წ.); იცნობთ, რა თქმა უნდა, ამ ნიგნს. ავტორის ერთ-ერთი მთავარი დებულება ის არის, რომ უცხო ენა უნდა ისწავლებოდეს III-IV კლასებიდან; არავითარ შემთხვევაში — პირველი კლასიდან. გ. რამიშვილი რომ ევროპული დონის მეცნიერი იყო, ამაშიც უნდა დამეთანხმდით...



ეს იყო იმპერიის აგონიის პერიოდი და დასრულდა კიდეც მათადა საუბედუროდ... ჩვენ ნუ ავიღებთ მაგალითად ამ პერიოდს, სხვა უკეთესი მაგალითებიც გვაქვს... ნურც იმ მაგალითს მომიყვანთ, თბილისის ძველ უბნებში 3-4 ენა რომ იციან დაბადებით...

ნაციონალური კოპაზიტაცია თბილისში

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე რაიონის გამგებლებს მცდარი ინფორმაციის გაგრძელებაში ადანაშაულებს. ირაკლი შინიაშვილმა for.ge-ს პრეს-კლუბში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე აღნიშნა, რომ გამგებებში აცხადებენ, თითქოსდა საკრებულომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს პროექტების დაფინანსებაზე უარი ფინანსური დეფიციტის გამო უთხრეს, რაც მისივე თქმით სიმართლეს არ შეესაბამება...

დაუმორჩილებლობა თუ საბოტაჟი?

რა საზოგადოებას, რომ 19 აგვისტოს მოხდა ბიუჯეტში ცვლილებები, საკრებულოში ბიუჯეტის ცვლილებებზე პროექტი შემოაქვს მერიას. პროექტის შედგენისას მერია მუშაობს გამგებლებთან. თუ ეს საკითხი, რომელიც იყო შემოტანილი, არ იყო გამგებლებთან შეთანხმებული, ეს უკვე პირდაპირ მერის პრობლემაა.



— 24 მილიონი აქვთ ბიუჯეტი. მთავარი განმავლობაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის პროგრამით დაინახა 4 მილიონი, რატომღაც დგება აგვისტო და მასობრივად იწყება გეგმების შემოტანა გამგებებში. აქედან 70% მხოლოდ და მხოლოდ სადარბაზოების გამაგრებას ეხება, რაც სერიოზულ ეჭვებს იწვევს. როდესაც, ძალიან ბევრი სახლი არის ავარიული, ძალიან ბევრი სახლს სჭირდება მინისკვეშა კომუნიკაციების გააგრება, რომ ხვალ ის სახლი არ გახდეს ავარიული. ძალიან ბევრი სახლი დაზიანებულია ლიფტები და არ ხდება ლიფტების შეკეთება. რა თქმა უნდა, სადარბაზოებიც უნდა გააგრემონტო, მაგრამ რის მერე? რატომ უნდა ნავახალისო მე ის უბასუსისმგებლო თავმჯდომარე, რომელიც, როდესაც სახურავი აქვს გასაკეთებელი და მინისკვეშა კომუნიკაციები მოსაწვრივებელი, სადარბაზოს რემონტს იწყებს. მინდა ამხანაგობის თავმჯდომარეებს ვუთხრა, რომ მე მივმართე სამართალდამცველებს, რომ დაინკონ ამ საკითხის შემოსწავლა, რო-

გორ და რანაირად ხდება ის, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში მასობრივად არიან ჩართული ფორმები ამ საქმეში. — რაში სჭირდებათ გამგებლებს ინფორმაციის გაგრძელება, რომ თითქოსდა ფული არაა ბიუჯეტში? — ამ შეკითხვას მე თვითონ დავსვამ მათ წინაშე, როცა 10 სექტემბერს, 11 საათზე, გამგებლები მობრძანდებიან საკრებულოში. მინდა მათგან მივიღო ეს განმარტება, თუ მათ კითხვები აქვთ მის შესახებ, რომ საკრებულოში უნდათ, რაღაც ცვლილება განხორციელდეს რაიონისა და მოსახლეობის სასიკეთოდ, მაშინ ქუჩაში კი არ უნდა იარონ, არამედ უნდა მოვიდნენ ჩვენთან. თუ ისინი დაგვიდასტურებენ, რომ ჩვენ გაგვეპარა ხარვეზი, ბუნებრივია ჩვენ ამას გამოვასწორებთ. მათი მიზანი ხარვეზის გამოსწორება არ არის. ისინი დადიან და დენინფორმაციის ავრცელებენ. რამდენიმე პიროვნებამ ისიც კი განაცხადა, რომ რა ვქნათ პოლიტიკურად ეს საკითხი მომგებიანია ჩვენთვისო. ამ დროს ვერ ხვდებიან, რომ მათგან გავრცელებული ტყუილია მათი დამლუშველი. — ამას გამგებლები ამბობენ? — არა, „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები. უბრალოდ, ასეთ ტყუილზე ავებულმა პიარმა მიიყვანა „ნაციონალური მოძრაობა“ სწორედ იქამდე, სადაც მივიდა. — თქვენ დაიბარეთ გამგებლები, რომლებიც არ გამოცხადდნენ საკრებულოში იმ მოტივით, რომ თითქოსდა გვიან გაიგეს. როგორც ფიქრობთ, ეს არის დაუმორჩილებლობა საკრებულოს წინააღმდეგ? — არა, ეს უფრო იცით რას ჰგავს? როდესაც ადამიანს არ აქვს პასუხი. როდესაც იცის სადაც დაიბარეს, იქ ამის გამო პასუხს მოსთხოვენ და მას არ გააჩნია ეს პასუხი. არ მობრძან-

დნენ გუშინ, წერილობით რომ მიიღებენ ოფიციალურ გამოცხადებას, რა თქმა უნდა, მობრძანდებიან და, შესაბამისად, იქ მოუწვეთ პასუხის გაცემა მასთან დაკავშირებით, თუ რის საფუძველზე ავრცელებდნენ ამ დეზინფორმაციას. — შეიძლება ეს შეფასდეს როგორც საბოტაჟი? — კვალიფიკაციის მიცემე მას შემდეგ, როდესაც შევხვდებით მათ. თუმცა ცალკე მოსაზრება მაქვს, რომ შეიძლება შეფასდეს როგორც საბოტაჟი. — ამხანაგობების თავმჯდომარეებს ხომ შეუძლიათ მოითხოვონ ოფიციალური ინფორმაცია, რომ ნახონ რეალურად, რომ ეს თანხები მართლა არსებობს? — რა თქმა უნდა, შეუძლიათ. უბრალოდ, ისინი ამბობენ, რომ პროგრამები, რომელშიც ფული გამოვყავით, უკვე გაკვარჯეთ ეს თანხა და მეტი თანხა არ გვაქვსო. ჩვენ რომ გვეჩვენოდა მეტი თანხა, დანარჩენებსაც ვეთოვისებდითო. თანხა არის, მივმართავ გამგებლებს და ამხანაგობების თავმჯდომარეებს და ვთხოვ, რომ გონივრულად მოუკიდონ პროგრამებს და ძირითადად ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის ქალაქისთვის, იმაზე ვიზრუნოთ. პრობლემა მაშინ გაუჩნდათ, როდესაც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეების წახალისება შევაჩერეთ. 5 მილიონი სჭირდებოდათ საარჩევნოდ, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ემუშავებინათ არჩევნებზე პარტიული აქტივის სახით. ეს ფული რომ გავუჩერეთ, ამის მერე გაუჩნდათ პრობლემები. მე არ ვამბობ, რომ ეს პოლიტიკური ნიშნის გამო გააჩერეთ, არა, მაგრამ ბიძაშვილები, დედაშვილები, სიდედრები და ცოლები ჰყავთ ზოგიერთ გამგებლებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებში გაფორმებული, გამაგებინეთ, წახალისების ნეხი მათზე რატომ უნდა ვრცელდებოდეს? მართლა იმას ნავახალისებთ, ვინც მოიტყუა ინფორმაციას, რა გააკეთა ამ წლების განმავლობაში.

საზოგადოებრივი აზრის კვლევა

თბილისში სასპორტო სტადიონის მშენებლობის მუშაუმი შენდება

მშენებლის ახსოვს რუსთაველის პროექტზე „მხატვრის სახლი“, რომელიც თბილისის ძმობა-ერთობის თემის შექმნის მიზნით...

აქ მკითხველს მუშაუმი პროექტის შესახებ კომპეტენტურ აზრებს უზიარებენ ისეთი დონის პროფესიონალები, რომელთა აზრიც ყურადსაღებია და მისაღებია.



ქართველის სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის საპატიო პროფესორი დიმიტრი ერისთავი; საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი გიგა ბათიაშვილი; არქიტექტორი გიგა ჯაფარიძე; საქართველოს სახალხო მხატვრე...

ბი რადიო თორღია და თემო გოცაძე. ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის საინტერესო იქნება მათი მოსაზრებები. ვთავაზობთ ბატონ გიგა ჯოსთაბერიძის, ქაბუა ამირეჯიბისა და გურამ დოჩინაშვილის წერილებს ფურხალ „მუდმივი კავშირის სამყაროდან“ მცირე შემოკლებით.



ბი რადიო თორღია: ისინი მე შენდნენ...

სახსი 0000 ხელოვნების მუზეუმის აშენების გადაწყვეტილებამდე ასე მივიდა... დაახლოებით 18 წლის წინ შევითქვე, რომ საქართველოში დაბადებული და ჩვენი მოლოცა...

ის ქვეყნისთვის. სახვითი ხელოვნების ნიმუში თუ ქვეყნიდან გაიტანეს, ის სამუდამოდ დაკარგულია... როდესაც მხატვრის ნამუშევარი მუზეუმში ხვდება, ის დაცულია და მას „ფესვები“ აქვს. თუმცა შესაძლებელია სურათების რაღაც ნაწილი შემდგომში საზღვარგარეთაც გაიყოს, რაც ხელს უწყობს ქართული კუთხის პოპულარიზაციას.

როფესიონალ, მოყვარულ მხატვრებს – საქართველოში ცნობილი პიროვნებების ნამუშევრებს, მე ვერ უკვე მაქვს, კიდევ მივუმატებ... საინტერესო და სახალისოა. მუზეუმში შპს მაგთის (და არა მაგთიკომის) დაფინანსებით შენდება. მასში 30 დარბაზი და 3 კიბის უკრების დიდი სივრცე იქნება. დარბაზებს ხელოვნებით, კიბეების სივრცეს კი – დღის შუქით გააანათებთ. პირველ სართულზე, რუსთაველის გამზირის მხრიდან, 300 კვ/მ-ის ფართის დარბაზი განთავსდება. მეორე სართულზე მუზეუმის ადმინისტრაცია და საცავი მოწყობა. საგამოფენო სივრცე მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულზე დაიკავებს, რომელთა ჭერის სიმაღლე 4.2 მ-ია, ფართობი კი დაახლოებით 7 000 კვ/მ.

მუზეუმის და მისი „დამხმარე“ შენობა-ნაგებობების პროექტის ავტორები საქართველოში ცნობილი არქიტექტურული დინასტიის წარმომადგენლები, მამა-შვილი არჩილ და გიორგი ქურდიანები არიან. რაც შეეხება სამშენებლო პროექტს, ის ცნობილმა გერმანულმა კომპანიამ W+P-მ და მისმა შვილობილმა კომპანიამ PLAN FORWARD-მა შეგვისრულეს. კონტრაქტის მიხედვით, გარდა პროექტისა, გერმანელებს მშენებლობის ხარისხის კონტროლიც ევალებათ. ამ კომპანიებს სამუზეუმო ნაგებობების დაპროექტების და მშენებლობის დიდი გამოცდილება აქვთ. შენობა 9 მაღალი და დაახლოებით 100 მეტრის სიგრძისაა. როცა გამოვლილი ქართველი მშენებლები მშენებლობაზე მოდიან, ამბობენ – ცხოვრებაში ამდენი არმატურა ერთად არ გვინახავს, 3 იდროველქტროსადგურის კაშხალში არ დებენ ამდენსო...



თბილისისთვის ერთი უსაზღვრო მშენებელი

საპარტიო რომ დიდი მხატვრების ქვეყანაა, ამას მტკიცება არ სჭირდება. ამ დიდ ეროვნულ საგანძურს რომ კარგა ხანია მზრუნველობს და გულშემატკვრლობს ბატონი გია ჯობხაძე და მისი მავთი – ხედავს ქართული საზოგადოება.

დროა, მაღლობა მოვახსენოთ ბატონ გიას მისი უანგარო ღვაწლისთვის და ამჟამად კი საგანგებოდ იმ გრანდიოზული წამოწყებისთვის, რაც მას განუზრახავს – თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმის აშენება.

მე ვნახე ამ პროექტის ფოტოები და რასაც გავეცანი, საოცრად ლამაზი და თბილისისთვის ერთობ შესაფერისი მგონია. სიამოვნებით და სიამაყით მხარს ვუჭერ ამ მშვენიერ პროექტს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მალე განხორციელდება და ჩვენს დედაქალაქს დაამშვენებს.

გიორგი გიორგინი - ჯობხაძე
06.09.2013 - მსოფლიო



გაბრიელ მია,

უღრმეს მაღლობას მოგახსენებთ იმ არამცხოველ სიხარულს, უზომო შეძენისა ათვის, რაც თქვენმა გადაწყვეტილებამ მომანიჭა – ჩვენს მთავარ გამზინზე, რუსთაველზე, ხელოვნების „არაკომერციული გალერეის“ აშენების შესახებ. სავევებით სწორად მრძანებით, რომ „არაკომერციული“ ნახატების გამოფენას ოფისების „გამოსაცხლებელი ინტერიერები“ კი არა, გელერეა ან მუზეუმი სჭირდება; სწორედ „არაკომერცია“-ა, რაც ერის სასულიეროდ განმტკიცებას მართლაც და სასიცოცხლოდ რომ სჭირდება და ეს რომ შევიტყვევ, ამ რაოდენ სასიკეთო წამოწყების განსახორციელებელი არქიტექტურული პროექტიც მოვიძიე და ხელოვნების ამ დარგში ჩემი არაკომპეტენტურობის მიუხედავად გაცილებულად გახარებული და ვერა და ამ მხრივაც ჩემი აზრის გამოთქმაც არ მეუხერხულება. რადგან, გაცილებით ხშირად გულით უფრო ვხვდებით იმ სასიკეთო რამთ, ვიდრე სპეციფიკური განსწავლულობით აღჭურვილი გონებით.

თქვენ ამ 18 წლის წინ, ანუ სხვადასხვა მიზეზით – ომები, „ციხე შიგნიდან ტყდება“, ყოველგვარი მეურნეობის დაცემა – მართლაცდა ქორ-ვაჭრობის გამოკლებით, რა შემართულად ურთიერთმემხდოლი მრავალპარტიულობით დაქსაქსული ჩვენი ქვეყნის არამცხოველ ორად, გაცილებით მეტად გახლჩაიყოს მიზეზი იმისა, რაც, ისევ და ისევ „ციხე შიგნიდან ტყდება“-სი არ იყოს, დიდ უმედურებად დაგვატყდა თავს და, სწორედ იმხანად თქვენ გავეცით, რომ „ჩვენში მოღვაწე ერთ-ერთი ცნობილი მხატვრის ნამუშევრებს მასობრივად ყიდულობდნენ და მეზობელ ქვეყანაში“ – არაა ძნელად წარმოსადგენი რომ ჩვენსავე მეტად „დალაგებულში“ – გაჰქონდათ, რაღა თქმა უნდა, სამუდამოდ, და თქვენ სწორედ იმ დროს დაგიწყიათ ჩვენი მართლაცდა გამოჩენილი დიდ არა უცხოელი კერძო პირებისათვის საგამომსახურებო ნახატების შექმნა არა პირადად თქვენთვის, არამედ ჩვენი ქვეყნისათვის... ვართუ საჭიროა აქ „საქართველო“-საც კი, ხსენებთ... და იმ ნახატების ყველასათვის მისაწვდომობაც ახლა გადაიწყვეტით, ჩვენდა საამაყო – საამაყო საკუთარი თავითაა დიდად უხერხული, თორემ, ვაჟაეთი და ფიროსმანი ჩვენი სიამაყე ისევე მუნებრივი და აუცილებელია, როგორც – გულისცემა, სუნთქვა... ეს განსაკუთრებით ჩვენი მომავალი თაობისთვისაა აუცილებელი, რომელიც გავ-შვილობიანებ გზასამდენი მოსაიდისტროს მულტფილმებითა და დაწყებული, ყოველგვარი ძალადობის შემამჩვეველი ნაირსახეობებით, უცხო, მომწამვლელი კინოფილმებით გაგრძელებული და, ჩვენი საგლობლე-ბისა და ხალხური სიმღერების პატრონებისთვის – ჯღანავილ-კნაგილანი ვითომც სიმღერების ისე უწყვეტლევ თავ-ყურს მოხვევა ჩვენი ტელემაუწყებლობის თითქმის ყველა არხით, – ჩვენს რა წყალობად, „ეროსულოფე“-სი, გარდა, ხელოვნების ყველა მიმართულებებისადმი – ძალიან რბილად რომი ვთქვათ – შესუსტება? არ შეიძლება დღესაც დიდად სავალალო შედეგით რომ არ დაგვიმთავრდეს.

და, კიდევ კარგი, რომ გამოვიჩინდნენ ჩვენი დიდი წინაპარ-ქველმოქმედების სულიერი მემკვიდრეები; მათ ჩამოთვლას არ შეუდგები, რადგან სამედიეროდ არცთუ ცოტანი არიან და შესაძლოა რომელიმე გამომჩინეს კიდევ, ისე კი, ძირითადად სუყველამ ვიცით ისინი...

მათ შორის თქვენ ადრე და მუდამ და ბევრგვარად ზრუნავდით, თუნდა თანამედროვე მწერლების შესანიშნავად გამოცემული წიგნების მოწოდებისათვის, ასევე დიდად სინტერესო სპორტული შეჯიბრებების გა-

გურამ ღორანაშვილი:

გამზირის „სე-თბილისურობა“, დიდად დამაჯერებლად მიმაჩნია

დია წერილი გაბრიელ მია ჯობხაძე-მია



მოცემებისათვის – ცოტათი სული რომ მოგვეთქვა დაძაბულობებისაგან, და მრავალ სასიკეთო საქმეს სჩადიოდი იხე, თავმო-საწონად არასოდეს გავსევით ხაზი ამისათვის; არც ერთ, როგორც წესი ურთი-ერთმოქმედება პარტიას არ ეკუთვნოდი და ჩვენთვის შეეშენე იღვწოდით, ვიმე-ორებ – სამედიეროდ არცთუ დიდად გამოწვალის მოღვაწეებთან ერთად – ჩვენ-ში დიდად საყურადღებო კულტურისა და ხელოვნების, ლიტერატურის გამომწეურებისა და შენარჩუნებისათვის და ახლად შევიტყვევ ეს კიდევ ერთი ჩვენთვის დიდად საკუთილდეოდ გადადგმული ნაბიჯი.

თქვენი რუღუნებით დღეისათვის 3 000-მდე სახვითი ხელოვნების თანამედროვე ნიმუში შეგიგროვებიათ XX საუკუნეში მოღვაწე და დღესაც მოქმედი მხატვრებისაგან; არ ვიცი, რომელი სიტყვა მიუხედავო მათ – დავით კაკაბაძე, ელენე ასვლედიანი... და მათი მომ-ღვენიობები: ედმონდ ვაჟაბაძე, ჯიბონ ხუნ-დაძე, თემო ჯაფარიძე, ირაკლი ფარჯანი, მერაბ ამრამიშვილი... მორიდებით, მაგრამ დარწმუნებით დავამატებდი: ამ რაოდენ სა-გულისხმო დიდად შთამბეჭდავ ჩამონათვალში ავთანდილ ვარაზი, ვახტანგ რუჟა და ომარ ღურმიშიძე რომ ყოფილიყვნენ, კიდევაც მე-ტად გავიხარებდი... თუმცა, ეგებ არ ვიცი და თქვენს კოლექციაში მათი ნამუშევრებიც ინახება... მგერე მხატვარი უკვე სათანადოდაა შეფასებული და მათი ნამუშევრები მუზეუმში საიმედოდაა შექმნილი, სათანადოდ შეუფასებლად იყურადღებ კი ახლო-მო-მავლის საქმეა და მათი შერჩევა თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

თქვენი გადაწყვეტილებისადმი ჩემგან ასეთი მხურვალე მხარდაჭერა იმითაცაა გამოწვე-ული, რომ თქვენს ამ წამოწყებას ასევე მხურ-ვალედ უჭერენ მხარს ჩვენი როგორი საა-მაყო, თავისთავადი მხატვრები დიმიტრი ერის-თავი, თემო გოცაძე... მე, ჩემდა სამედიერ-ოდ ახლო ვარ მათთან და, ალტაცებული – ხელოვნებისა და სხვა შემოქმედების დარ-გებშიაც მათთვის ჩვეული, დახვეწილი გე-მოვნებით მიღვამისადმი; ისეთი დიდი მხატ-ვარი, როგორც ბატონი დიმიტრი ერისთავი, სამედიეროდ დიდი ხნის წინ რომ გავიყა-

ნი, დიდად გაცილებელი დავრჩი მისი საოც-რად დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებისთვის; მოგვიანებით მისი რაოდენ საამაყო მეგობრების – ბატონი თენგიზ მირზაშვილის მართლაცდა ყოველსამომცველი ცოდნით (ხელოვნებისა და ლიტერატურის მხრივ, თორემ იმდროინდელი სისხლის სამართლის კოდექსი შედარებით ალბათ ვერ იცოდა – რას ვიხამო, ავი ყველას გვაქვს სუკოტა-თითო ნაკლი...), ბატონ ზურაბ ნიჟარაძის მუსიკის მცოდნეობით (– ნამდვილად მუსი-კისა, და არა...), რაც ასე იგრძნობა მათ რო-გორ დახვეწილ, არ მომეგრდება ამ სიტყვის გამოყენება – საამაყო დიდად, შემოქმედ-ებაში; მდინერება მქონდა თუნდ მხოლოდ მისალმებლად ვინადაც მცნობდა ბატონ-ნი ავთანდილ ვარაზი, ვყოფილიყავი და ვარ ბატონი ლევან ცუცქერიძის – შემოქმედებისა და პიროვნების თაყვანისმცემელი, ვყოფი-ლიყავი იმ ჯგუფში, რომელსაც ჩვენმა რა-ნივ სასიქარადლოდ, ბატონმა ლადო გული-აშვილმა პირადად დაათვალიერებინა თავისი სახლ-მუზეუმში...

ასეთი გრძელი ჩამონათვალი ზოგ არამც-ხოვე უცხოელს, შესაძლოა ე. წ. „ჩვენებუ-რებსაც“ კარგა გრძელად მოეჩვენოს, მაგ-რამ, თუმცა ისინი ამას ნაკლებად გაიგე-ბენ, მაინც ვიტყვი, რომ, ღმერთმა ყველა ერს ამოხრის ის მრავალმხრივი, სასტიკი უმედურება ჩვენს რომ დასტყდომია თავს, და ამ მხრივდაც კი დიდად სასოწმკვეთი XIX და XX საუკუნე იყო, ჩვენთვის, მაგრამ, არის კიდევ ერთი რაღაც, დიდად საგუ-ლისხმო და დამაფიქრებელი – როცა ერს ძალიან უჭირს, სწორედ ამ დროს მოველი-ნებთან – იტალიას თუ სხვაც უყვარ ქვეყნებს, ასევე ჩვენსაც ისეთი დიდი შემოქმედები, რომელთაც ჩამოთვლა არ სჭირდება, ისე-დაც განუყრელად ვიცით, და ვმედინერდებით, მათით, ერთსა კი ვიტყვი, რომ, ამ ჩვენს XX საუკუნეში ერისკაცობიდან ჩემი ღრმა რწმენით ყველაზე სწორად ცხოვრობდა ალ-მათ – არავითარი ზეგენისი და ამდაგვა-რი დამატება მის სახელს არად სჭირდება – გალაკტიონი, „თანამედროვეებისათვის“ დიდად აბურღული და მოწესრიგებული თითქოსდა, – უდალდესი პიროვნება.

და ისიც უნდა ითქვას, რომ ეგრეთწო-ღებულ „დალაგებულ“, მატერიალურად უზ-რუნველყოფილ ქვეყნებში მცხოვრებნი რო-გორღაც ღუნდებიან და შემოქმედებითი, სამშობლოს უმედობით შემართული, დი-დად „გაჭირვებული“ ქვეყნის ადამიანებთან შედარებით? მეპატიოს და, შემოქმედები-თად ნაკლებ-გამორჩეული არიან.

და, მიუხედავად ჩვენი ახლახან დამკე-რობების უმცირესი მაგრამ დიდად სა-ზიანო, ავისმომტანი, დიდად „დაწინაურე-ბულები“-სთვის რარეც მახსიათებელი მო-როტების მიუხედავად, მაინც როგორი წარ-მატებით ჩატარდა საფრანგეთში ჩვენი ფი-როსმანის გამოფენა, რისიც დიდად წინა-აღმდეგი ყოფილა ჩვენგან არცთუ ადრე წასული სუსლოვი, რომელსაც მთელი შვიდი თვით შეუყოვნებია ამ გამოფენის გახსნა: ვისგან ეს, – ვისი! – მაგრამ, ფიროსმანი მა-ინც იძულებული გამხდარა, ფიროსმანის შემოქმედების მხარდაჭერი, საქვეყნოდ ცნობილი ფრანგი შემოქმედებისათვის ან-გარში გაეჩინა და უკან დახსია თუმც კი აზა-რომელი „უკან“ იმასლა, დარჩნოდა, ასეა, ყოველ კარგ წამოწყებას შეუდარა, მო-წინააღმდეგეები, სხვაგვარად არ ხდება, სამ-წუხაროდ.


ხოლო რაც შეეხება იმას, რომ თურმე თქვენს ამ შესანიშნავ ნაბიჯს მორაქტე-ტორი ე. წ. პროფესიონალები თუ დილექ-ტანტები მოწინააღმდეგეებდა ჰყვანან, ამ მხრივ ჩემიც საკმაოდ „არაკომპეტენტუ-რისა“ და მიუხედავად, მაინც ვადაჭრით ვიტყ-ვი, რომ, ისეთი ტრადიციების მქონე და სა-კუთრივდაც ისეთ შესანიშნავ არქიტექტო-რებს – ბატონ არჩილ და ახალგაზრდა, ბატონ გიორგი ქურდიანებს ჩვენი ისეთი საამაყო, ყოველმხრივი ცოდნითა და პრო-ფესიული ვეტიანებით შემოსილი არქიტექ-ტორები უჭერენ მხარს და მათი მყარი დას-კვნა ყოფილა, რომ, რუსთაველის გამზინზე აშენებული ეს ნაკლებობა, თავისი დამხმა-რე სათავსოებით, სადაც ფიროსმანისე-ლი ოცნებით შეიკონიშნა და ჩაისაც და-ლევეს, რომ ამ პროექტის – რომლის ყო-ველმხრივმა ხედვებმა ალტაცებში მოგვიყ-ვანა, ჩვენი სიხარულიცაა, რომ – „ამ პრო-ექტის მთავარი ამოსავალი იყო ის, რომ ამ შენობისა და მისი დამხმარე სათავსო-ების არქიტექტორული თეორია, იდეოლო-გია ყოფილიყო რუსთაველის გამზირისე-ული, თბილისური“.

რუსთაველის გამზირი ყოველი თბილისე-ლი და არაბილისელოსაც უსაყვარლესი და სათავსანისსაცემო მაღლი რომაა, რომელ-მა არ ვიცით და მეც, რაღა თქმა უნდა ამ რიგში შევდივარ და ჩემი ასეთი ვრცელი, თავდა-ღებული გამოხმარებელი ალბათ იმანაც გამო-იწვია, რომ I კლასიდან X-მდე რუსთაველის გამზირის ნომრი რომი ვცხოვრობდი და, I სკო-ლისკენ მიმავალი, ასეთი მშვენიერი შენობა-მუზეუმის ასაშენებელ ადვოკატს დღეში სუკო-ტა აუცილებელ-ორჯერ, დამატებით კი ვინ იყის, რამდენჯერ ჩავუვლიდი...

ვიმელოვებ, პროექტის ნახვის შემდეგ ეს, გამზირის „სე-თბილისურობა“, დიდად და-მაჯერებლად მიმაჩნია, და გერმანელი მა-ღალი პროფესიონალიზმით გამოჩეული მუშაკების შერჩევა თქვენ რომ არ გა-გიდინელებოდათ, ბატონო გია, ამასი ეტვიც არ მეპარება.

უღრმესი პატივისცემითა და მაღლობით

გურამ ღორანაშვილი



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საპარტოველოში ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, რომელიც ცხადი გახდა, პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით სირიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, თბილისი კვილიშვილ-რაფ უფრო ინფორმაციას შეიტანს, ვიდრე რუსეთს.

„ძალიან შეშფოთებული ვარ იმით, რაც სირიაში ხდება, და მეტად სამწუხაროა, რომ იქ გამოიყენეს ქიმიური იარაღი, და ამის დადასტურებაც არსებობს. მე ძალიან ვენდობი ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს. როდესაც ნდობაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს, რომ განხორციელეს ექსპერტიზა, რომელმაც დაადასტურა, რომ ქიმიური იარაღი გამოიყენეს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ“,- განაცხადა ივანიშვილმა 4 სექტემბერს პრესკონფერენციაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მათა ფანჯიკიძემ საქართველოს პოზიცია ვერ კიდევ 30 აგვისტოს დააფიქსირა, როდესაც განაცხადა, რომ თბილისი „გმობს ძალადობას“ სირიაში მშვიდობიან მიცხოვრებულთან დაკავშირებით და რომ „საქართველო მისალმება და მხარს უჭერს საერთაშორისო გაერთიანების მზადყოფნას შეასრულოს უფრო აქტიური როლი პუშინის რეჟიმის კატასტროფის დაძლევისთვის“.

აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დადასტურებანი სირიის მთავრობის მიერ 21 აგვისტოს ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ მოპროტესტო ადამიანების წინააღმდეგ დამასკოს მიდამოებში, „არ არის დამაჯერებელი“. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე განუცხადა, რომ დასაბუთებული ფაქტების წარმოდგენის შემთხვევაში სირიის ხელისუფლების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ, იგი „არ გამოირიცხავს“ რუსეთის თანხმობას სამხედრო ოპერაციაზე. მაგრამ, პუტინის სიტყვებით, რუსეთი წინააღმდეგია სირიაში სამხედრო ჩარევისა გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე. „ნებისმიერი სხვა საფუძველი, სერვისი, რაც გააძლიერებდა ძალის გამოყენებას დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, დაუშვებელია და არ შეიძლება მიეცეს მას კვალიფიკაცია, თუ არა აგრესია“,- განაცხადა პუტინმა 4 სექტემბერს.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მოითხოვა კონგრესისგან სანქცია სამხედრო ოპერაციაზე სირიის წინააღმდეგ. ევროკავშირის ქვეყნებიდან - საფრანგეთი, დანიის, სლოვაკია, რუმინეთი, საბერძნეთი, ლატვია და კვიპროსი სირიაში სამხედრო ოპერაციის გამართვას გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვის მიღების გარეშე მიიჩნევენ დაუშვებლად, თუმცა ევროკავშირმა ვერჯერობით ვერ გამოიმუშავა ნეკრი სახელმწიფოების ერთიანი პოზიცია.

„ღახარაბის ხელი“

მბრტყლიბ, საქართველოსა და რუსეთს სირიასთან დაკავშირებით სხვადასხვა პოზიცია უკავიათ, მიუხედავად ამისა, მოსკოვმა შესთავაზა თბილისს დახმარება საქართველოს დახმარებით იმ 20 მოქალაქის სახლში დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომლებიც იმ ქვეყანაში იმყოფებიან. ამის შესახებ ურუნალისტებს აცნობა საქართველოს პრემიერმა ივანიშვილმა 4 სექტემბერს. მოგვიანებით პრემიერის ინფორმაცია დაადასტურა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელის მოადგილემ გრიგორი კარასინმა.

„გუშინ ჩვენ ვსაუბრობდით ზურაბ აბაშიძისთან ერთად. ჩვენთვის მასობრივი ინ-

ფორმაციის საშუალებებიდან ცნობილი გახდა, რომ სირიაში საქართველოს დახმარებით 20 მოქალაქე იმყოფება, რომლებსაც არ შეუძლიათ ამ ქვეყნის დატოვება და სამშობლოში დაბრუნება. და ჩვენ, კეთილმეზობლობისა და კეთილი ნების სულისკვეთებით, ვუთხარით, რომ, თუ ამ ადამიანებს აქვთ პრობლემა სახლში გამგზავრებასთან დაკავშირებით, შეუძლიათ მიმართონ ჩვენს საელჩოს სირიაში“,- თქვა კარასინმა.

გრიგორი კარასინმა დააზუსტა, რომ მოსკოვმა „გადაწვდით, გაუწოდოს დახმარების ხელი“ საკუთარი ინიციატივით. „ჩვენ ამაში არაფერს განსაკუთრებულს არ ვხედავთ. ეს მთლიანად შეესაბამება კეთილმეზობლობის სულისკვეთე-

იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას ოპერაციაში სირიის წინააღმდეგ და როგორი იქნება მისი მასშტაბი... ჩვენი ქვეყნისთვის ქიმიური იარაღის გამოყენება მიუღებელია და ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ ასეთ შემთხვევაში ნებადართულია სამხედრო ჩარევა“,- აღნიშნა დიპლომატმა ჩვენს კორესპონდენტთან ინტერვიუში. რუსეთის ფედერაციის დახმარებასთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეების ევაკუაციაზე სირიიდან, კაპანაძე არ გამოირიცხავს, რომ მოსკოვის ეს ნაბიჯი შეიძლება იყოს „კეთილი ნების უსესტი“. ამავე დროს, კაპანაძე არ გამოირიცხავს, რომ რუსეთს სურს აჩვენოს თავისი კონსტრუქციულობა ივანიშვილის მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებთან დაკავშირებით ურთიერთობათა ნორმალიზაციისთვის.

კაპანაძემ ასევე აღნიშნა, რომ უკიდურესად ცივ ურთიერთობათა ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ მოსკოვის ინიციატივა ბევრისთვის საქართველოში იქნება „მოულოდნელი“, და გარკვეულწილად „ცინიკურიც“, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთის ჯარებს ოკუპირებული აქვთ საქართველოს ტერიტორიები და მრავალრიცხოვან ქართველ ლტოლვილებს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან არ აძლევენ შესაძლებლობას, დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში.

„მართალია, ისეთ საგანგებო ვითარებაში, როგორც ამჟამად სირიაშია, ცინიზმზე საუბარი არც ღირს და რუსეთის ფედერაციის დახმარებას შეიძლება მხოლოდ მივსალო“,- ასკვნის სერგი კაპანაძე.

„პატარა ქვეყანა“


პოლიტიკოლოგმა სტრატეგიულ და საერთაშორისო კვლევების საქართველოს ფონდიდან კახა გოგოლაშვილმა ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ, საერთაშორისო ნორმების თანხმად, სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში სამხედრო ჩარევისთვის აუცილებელია გაეროს რეზოლუცია. მაგრამ ექსპერტმა აღნიშნა, რომ ისტორიისთვის ცნობილია ბევრი შემთხვევა, როდესაც ცალკეული დიდი სახელმწიფოები ლეზულობდნენ ცალმხრივ ზომებს. „სამწუხაროდ, დიდი სახელმწიფოები არღვევენ საერთაშორისო უფლებებს, როდესაც ამას აუცილებლად მიიჩნევენ“,- განმარტა ექსპერტმა.

„2008 წელს რუსეთი შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე გაეროს უშიშროების საბჭოს ყოველგვარი რეზოლუციის გარეშე იმის საბაბით, რომ თითქოს ქართველებმა განადგურეს 2 ათასი ოსი. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს ყოველივე აგებული იყო სიურუსა და ყაბდ ინფორმაციაზე ოსეთის გეროციდის შესახებ, რაც არ დაადასტურა არც ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ“,- შეგვახსენა გოგოლაშვილმა.

პოლიტიკოლოგი ვაშინგტონის გეგმების მხარდაჭერას თბილისის მხრიდან მიიჩნევს „ბუნებრივად“, ვინაიდან, გოგოლაშვილის სიტყვებით, ამერიკის შეერთებული შტატები არის საქართველოს უშიშროებისა და განვითარების გარანტი.

„საქართველო პატარა ქვეყანაა. მისი ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. საქართველოს არ გააჩნია არანაირი სხვა გამოსავალი, ვიდრე თანამშრომლობა დასავლეთის სახელმწიფოებთან იმისთვის, რომ უზრუნველყოს საკუთარი უშიშროება. საქართველო რომ იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი თავიანთ გადაწყვეტილებებში, შესაძლებელია, ამ სიტუაციაში მისი პოზიცია ყოფილიყო უფრო ფრთხილი, და თბილისი არ აჩქარებდოდა განცხადებებით სირიასთან დაკავშირებით“,- განაცხადა ექსპერტმა.

თბილისმა პაუინგბტონს სირიის საკითხში მხარი დაუჭირა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ „ძალიან ინფორმაციას შეიტანს, ვიდრე რუსეთს“




ბას, რასაც ჩვენ განვიცდით საქართველოსა და ქართველის ხალხის მიმართ“,- განმარტა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ისევე, როგორც პრემიერმა ივანიშვილმა, მოსკოვის ეს ინიციატივა შეაფასეს, როგორც „პოზიტიური ნაბიჯი“. ბიძინა ივანიშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ მალე მოწესრიგდეს სირიის კონფლიქტი. „ჩვენ გვინდოდა, რომ რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ის, რაც იქ ხდება“,- განუცხადა ქართველმა პრემიერმა ურუნალისტებს.

„სწორი პოზიცია“

სერბი კაპანაძე, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელი და სააკაშვილის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, ამჟამინდელი ხელისუფლების პოზიციას სირიის საქართველოსთან დაკავშირებით მიიჩნევს „სწორად“.

კაპანაძის სიტყვებით, დასავლეთის სამყაროში არსებობს კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ სირიაში გამოიყენეს ქიმიური იარაღი ხალხის წინააღმდეგ. საქართველოს პარტნიორების უმრავლესობა, განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, მიიჩნევს, რომ ამაზე პასუხისმგებელია სწორედ ბაშარ ასადის მთავრობა. „ამჟამად დისკუსია არის მხოლოდ

დედამიწის ზურგზე



გლომირაზა ფიდელ კასტრო „დაბრკალის“, იმი ცინიზმი ჩამოხრჩვალ სამსუაღურ მანიაკში შეიშალატი კურიოზი მოხდა სამუდამო პატიმრობამისჯილი მოძალადისა და კუბის ყოფილი ლიდერის გვარების მსგავსების გამო. ამ დროს ზოგიერთი „ახალმა ამბავმა“ კასტროს გარდაცვალების შესახებ გაახარა: „ალბათ, კომუნისტი თავისსავე სიგარამ დაახრჩო“, „როგორც იქნა, კუბა შეიძლება დემოკრატიული გახდეს“.

საღმრთო რაიონის ბრძანება ირანიდან: სირიაზე დარტყმის შემთხვევაში შეუძლიან აზრ ოპიმიტაის მიუზოგილ ძვიყენაში



დაზვერვის ასეთი მონაცემების შესახებ ამერიკელმა წარმომადგენლებმა გაზეთ „დი უოლ სტრიტ ჯორნალს“ აცნობეს. ის ფაქტი, რომ ამერიკის ხელისუფლებას ვერ არ მიუღია გადაწყვეტილება სირიაში სამხედრო ოპერაციასთან დაკავშირებით, ირანს მეტ დროს აძლევს შეტევაზე მომზადებისთვის, აღნიშნავს გამოცემა.


მაღონამ მოუწოდა აზრს, არ დაიწყოს ომი სირიის წინააღმდეგ



„ამერიკის შეერთებულ შტატებში წუ ჩაერვი სირიის საქმეში კაცობრიობის კეთილდღეობის გულისთვის“, - დაწერა პოპულარული მარკეტინგული და მიმართვის ფოტოგრაფია განათავსა სოციალურ ქსელებში. შარშან მაღონას მენეჯერი აცხადებდა, რომ მას სურდა, გამოსულიყო ლიბანში, სირიასა და ირანში.

„ნასა“ მთვარეზე ახალ სამეცნიერო ბაზრატის აგებას

სასტარტო ფანჯარა ადგილობრივი დროით 6 სექტემბერის 23:27 საათზე გაიხსნება და გაგრძელდება სულ რაღაც ოთხი წუთი. თუ რაიმე მიზეზის გამო ამ დღეს გაშვება არ მოხერხდება, მაშინ მცდელობა შეიძლება განმეორდეს მომდევნო ოთხი დღის განმავლობაში. მოგზაურობა მთვარისკენ 30 დღე გაგრძელდება.



დმანისის საზაფხულო სკოლა

დმანისი – ისტორიის მატარებელი, ერთდროულად, ძველი ქვის ხანის, ბრინჯაოს ხანისა და შუა საუკუნეების ძეგლი. დმანისის, შუა საუკუნეების ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრები 1936 წლიდან მიმდინარეობს. შუა საუკუნეების არქეოლოგიური ფენების ქვეშ, 1983 წლიდან მოყოლებული დღემდე, ქვის ხანის მკვლევარებმა უძველესი ჰომინიდის ნაშთები, ქვის იარაღები და პრეისტორიული ცხოველების ძვლები აღმოაჩინეს. 1.8-1.7 მილიონი წლის წინანდელი დმანისელი ჰომინიდი ვერაზის უძველესი მკვიდრია.

არქეოლოგიური ფაუნდის თქმით, აქ 1983 წელს აღმოაჩინეს პირველი პალეოლითური მასალა: „ალმოჩნიდა მარტორქის კბილი და ქვის მასალა, ანუ ალინუსხა, რომ აქ შესაძლოა პალეოლითური ძეგლი ყოფილიყო. 1991 წელს უკვე დაიწყო ინტენსიური გათხრები, არქეოლოგებმა იპოვეს ადამიანის პირველი ქვედა ყბა 16 კბილით, ასევე – ქვის იარაღები, უკვე გადაშენებული ცხოველების პალეონტოლოგიური მასალა: მარტორქა, სპილო, სირაქლეშის ბარძაყის ძვალი, ხმალი კბილა ვეფხვი, ეტრუსკული მგელი, ეტრუსკული დათვი...

იმ წლიდან მოყოლებული დმანისში არქეოლოგიური, პალეონტოლოგიური გათხრები მიმდინარეობს. ღია ცის ქვეშ სავსე მუზეუმი გაიხსნა. საზაფხულო ტურისტებს შეუძლიათ პირდაპირ ეთერში იხილონ არქეოლოგიური გათხრები“.

... აგერ ზეზვა და მზია, და კიდევ ერთი უძველესი ჰომინიდის ფიგურა... ვიგეტ, რომ 1998 წელს აღმოჩენილი „ზეზვას“ და „მზიას“ თავის ქალებისგან ფრანგმა რესტავრატორმა ელიზაბეტ დეისმა დაამზადა ახლანდელი „მზია“ და „ზეზვა“ ცვილის ფიგურებით... ამ უნიკალურ ისტორიულ ადგილზე ახლა დმანისის საზაფხულო სკოლის სტუდენტები და მეცნიერები იმყოფებიან. საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე დმანისის საზაფხულო სკოლის წარდგინებას უმასპინძლა. პროექტს ეროვნული მუზეუმი მეორე წელია შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს. წელს დმანისის საზაფხულო სკოლა 26 აგვისტოდან 6 სექტემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა.

ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის მიზანია ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, ქართველოლოგიური მეცნიერების ხელშეწყობა და საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობის დამყარება. პროექტში მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და მეცნიერები.

საგანმანათლებლო პროექტი ითვალისწინებს როგორც თეორიულ, ისე – პრაქტიკულ სწავლებას საქართველოს ისტორიაში, ხელოვნებათმცოდნეობაში, არქეოლოგიაში, ეთნოლოგიაში და ნუმიზმატიკაში.

სულხან სისაშვილი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი:

„პროექტის წარმატებაზე მეტყველებს ისიც, რომ ამ სკოლების სტუდენტები შემდგომ, ცხოვრებაშიც უფრო აქტიურად ერთვებიან ამ მეცნიერებებში. ხშირად თავად მონაწილეობენ მთარგმნელობით საქმიანობაში და თავიდან ბოლომდე უძღვნიან თავის მომავალს ქართველოლოგიურ მეცნიერებას.

დმანისი ერთ-ერთი საინტერესო რეგიონია უცხოელებისთვის.

ჩვენ ყოველწლიურად ვაცხადებთ ამ კონკურსს. მნიშვნელოვანია, რომ თანდათან იზრდება დმანისის საზაფხულო სკოლის სასწავლო პროგრამით დაინტერესებულ პირთა რაოდენობა. წელსაც, გასულ წელთან შედარებით, საგრძობლად მეტი იყო დაფინანსება და გამარჯვებული პროექტების რაოდენობაც. ვფიქრობთ, მომავალ წელსაც მსგავსი კონკურსი აუცილებლად გაიმართება“.



„არქეოლოგია, სპორტო, მუსიკა, დიპლომატიის უმკლავრესი იარაღი“ ...

ლელად ჩატარდება და კიდევ უფრო მეტ ახალგაზრდას ექნება საშუალება, გაეცნოს ჩვენს კულტურას, ენას, დამწერლობას“...

გიორგი ბაღინაშვილი, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

„დმანისის საზაფხულო სკოლის მიზანია ქართველოლოგიური მეცნიერებების პოპულარიზაცია, ჩვენი მიღწევების გაცნობა. ლექციები, ვორკშოპები და შემეცნებითი ტურები საქართველოს მუზეუმებსა და ისტორიულ ძეგლებზე, გათვალისწინებულია სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმების ჩვენება და დისკუსიები. საზაფხულო სკოლის დასკვნით საფეხურზე მონაწილეები მინიპროექტის პრეზენტაციებს წარმოადგენენ. ამის გარდა, უმთავრესი მიზანი სამეცნიერო ურ-



თიერთობების დამყარებაა, რადგანაც საზაფხულო სკოლის ყველა მონაწილე უცხოელია.

წელს სკოლამ 13 ქვეყნიდან 13 მონაწილეს უმასპინძლა. ჩამოსული იყვნენ: საფრანგეთის, შვედეთის, უკრაინის, ბელარუსის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ლიტვის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, მოლდოვას, რუმინეთის... წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ: ქართველი წარმოშობის ამერიკელი დავით თორაძე, ასევე – ლუკა ყანჩელი, ორივე ცხოვრობს უცხოეთში და ასეთ პროგრამებში მონაწილეობა მათ კიდევ უფრო მეტად აახლოებს ქვეყანასთან“.

დავით ლორთქიფანიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი:

„ეს უკვე ტრადიციას. ჩვენ ვატარებთ ძალიან პროფესიულ საზაფხულო სკოლას, რომელიც უშუალოდ პალეონტოლოგიაზე, პალეოანთროპოლოგიაზე არის მიმართული და მეორე ისეთს, რომელიც უფრო ზოგადია. მიმაჩნია, რომ არქეოლოგია, საერთოდ, მეცნიერება, შეიძლება იყოს დიპლომატიის ძალიან მძლავრი იარაღი. ამ სკოლას სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს. ეს არის ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ნაწილი. საქართველო ყოველთვის უნდა იყოს გამაერთიანებელი ისეთი ქვეყნების წარმომადგენლებისა, რომელთა ერთად ყოფნა ხშირად გამოიწვევს მიგვაჩნია.“

ვფიქრობ, ეს სკოლა თავის მისიას ასრულებს და შედეგს მომავალში ვნახავთ. ამ ადამიანებისგან იქმნება მეგობრების ქსელი. ისინი გააგრძელებენ ერთმანეთთან ურთიერთობას, და უწინარესად, საქართველოსთან ურთიერთობას. საქართველო დიპლომატიურ და გამაერთიანებელ მოვალეობას ასრულებს.“

– ანუ საზაფხულო სკოლა ორიენტირებულია უცხოელ სტუდენტებზე?

– ეს არის არქეოლოგიური სკოლა, რომლის ფუნქციაც სწორედ ის გახლავთ, რომ არაქართველებმა შეიცნონ საქართველო. ზოგადად ორი მიდგომაა: ენიდან ნახვიდე პროფესიისკენ და მეორე: პროფესიიდან ნახვიდე ენისკენ. ჩვენ სწორედ მეორეს ვანიჭებთ უპირატესობას. პროგრამა მრავალფეროვანია. სასიხარულოა, რომ ჩვენი თანამშრომლები კარგად უძღვებიან ამ საქმეს.

ქართველ სტუდენტებს აქვთ მეორე სკოლაში მონაწილეობის შანსი, რომელიც არის საზაფხულო დავით თორაძის პალეონტოლოგიური“.

...უკვე აღვნიშნეთ, რომ პროექტი მსოფლიოში ცნობილ დმანისის არქეოლოგიურ სამეცნიერო კვლევით ძეგლზე მიმდინარეობს. დმანისი ძალიან ცნობილი ძეგლია მსოფლიოში და მასზე ინფორმაცია ყველა ქვეყნის წარმომადგენელს აქვს, განსაკუთრებით სამეცნიერო სფეროში. საზაფხულო სკოლაში თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას უძღვებიან საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცდილი სპეციალისტები, ქართველ მეცნიერთა დახმარებითა და უშუალო ხელმძღვანელობით, საზაფხულო სკოლის მსმენელებს საშუალება ეძლევათ, ეზიარონ ქართველოლოგიურ მეცნიერებათა მეთოდებსა და უახლეს მიღწევებს. პროექტი ხელს უწყობს ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას, საქართველოს მუზეუმებში დაცული მატერიალური კულტურის წარმოჩენასა და საქართველოში ტურიზმის განვითარებას.

სკოლის კურსდამთავრებულებს სერთიფიკატები გადაეცემათ.

თამარ შანიშვილი, თამილი-დმანისი.

სურათებზე: დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი; დავით ლორთქიფანიძე საზაფხულო სკოლის სტუდენტებთან.

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ / Contract Award Notification. Project Name: Second Secondary and Local Roads Project (SLRP II). The project implementing Agency: Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia. Country: Georgia. Project Number: P122204. Bid/Contract Reference No: SLRP II/CW/NCB-13. Scope of Contract: Rehabilitation of the Tekhuri Riverbank Wash-outs (Road Embankment Failures) Developed at km12+800 – km13+120 and at km15+480 – km15+640 Road Sections of the “Noqalakevi – Didi Chkoni Road” pass. Bid type: National Competitive Bidding. Contractor: JSC “ARQEOPOLISI”. Address: Reional Senaki Village Dzveli Senaki, Georgia. Total contract cost: 1,722,785.68 GEL. Contract duration: 180 (One Hundred and Eighty) days.

ფეხბურთი



თურქი შეგვკლავია

საბრტყილს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი შთამბეჭდავი გამარჯვებით დაიწყო: ალექსანდრე ჩივიძის გუნდმა ქალაქ ეშ სურ ალზეტში ლუქსემბურგელ თანატოლებს 3:0 მოუგო.

ალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, ქართველ ფეხბურთელებს კიდევ არაერთი ბურთის გატანა მართებდათ, თუმცა რიგ შემთხვევაში მასპინძელთა მეკარე თამაშობდა კარგად, ზოგიერთ მომენტში კი თავად თავდამსხმელები სცოდავდნენ.

რაზი

დღეს საქართველოს ჩემპიონატი იწყება



დღეს საქართველოს მორაგბეთა XXIV ეროვნული ჩემპიონატი აიღებს სტარტს. ქართული რაგბის გულშემატკივრებს წელს შარშანდელზე უკეთესი, დაბალბი პირველობა ელოთ, რაც კლუბების მეტ-ნაკლებად თანაბარი ფინანსური მდგომარეობით უნდა იყოს განპირობებული.

ჩემპიონატის იმ შემადგენლობით დასრულების საშუალებას მისცემს, რომლითაც პირველობას დაიწყებენ და ეს მათ კონკურენტუნარიანობას ჩემპიონატის ბოლომდე შეუნარჩუნებს.

ინტერნეტიდან



ზღაპარი ლუსიანაზე

იშქ და არა იყო რა, იყო ქვეყანა ბრაზილია, სადაც მრავალი ლამაზმანი ცხოვრობდა. თუმცა, ლამაზმანთა შორის მაინც გამოირჩეოდა ერთი, რომელსაც სახელად ლუსიანა ესკოუტი ერქვა და ბავშვობიდან ფრენბურთზე იყო შეყვარებული.

გავიდა დრო. მშვენიერი ლუსიანა გაიზარდა და ბრაზილიის ფრენბურთელთა კლუბ „უნიველერთან“ გააფორმა კონტრაქტი. მისი ცხოვრება ერთი შეხედვით მდორედ და გეგმაზომიერად მიდიოდა, სანამ ერთ მშვენიერ, მაგრამ მოწყენილ დღეს ეროტიკული ფილმების პროდიუსერი არ ეწვია.

როსტომ რაჭველიშვილი

არა არს დაფარული...

იყო ასეთი პროექტი

პოლიტიკურ პარტიას შიგნით დიპლომატიურ წილსვლებს კარგად იცნობს მკითხველი. საერთაშორისო ურთიერთობათა აქტუალური საკითხების კვალიფიციური განსჯა ჩვენი რედაქციის სტაბილური ავტორის საფირმო ნიშანია, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით ახლო წარსულის სპორტული ცხოვრების ერთ გაუნზაღებელ ეპიზოდზე მისგან მოსმენილი ფაქტი ქართული საზოგადოებისთვისაც გაგვეცნო.

— მოგახსენებთ, მურთაზ ხურცილავას, რევაზ ძოძუაშვილის, კახი ასათიანის, მანუჩარ მაჩაიძისა და გივი ნოდუას თაობას წილად ხვდა პატივი, პირველს ქართველთაგან დაეჭაშნიკებინა პოპულარული ევროპული საკლუბო ტურნირები. მართალია, ჰოლანდიურ „ტვენტესთან“ უეფას თანხის გათამაშებაში ორრაუნდინი დებიუტი წარუმატებლად დამთავრდა, მაგრამ ბიჭები კიდევ უფრო კარგად გაიცნო საფეხბურთო სამყარომ, ამიტომ ლოგიკური იყო, რომ საკავშირო სპორტკომიტეტმა 1972 წლის საფეხბურთო სეზონის დასრულების შემდეგ თბილისის „დინამო“ ამხანაგური მატჩების გასამართავად ცილქონსა და სინგაპურში მიაგზავნა. ბუნებრივია, აზიური ტურნეს სრული ხარჯები

მოჩნდა. როგორც შევიტყვეთ, სწორედ მამამისს აუშენებია ალნიშული სარბიელი. ახალგაზრდობილი პიროვნება ფეხბურთისადმი სიყვარულს არ მალავდა, ხოლო მოგვიანებით, როცა დინამოელთა შთამბეჭდავი თამაშით მოიხიბლა და, ასე განსაჯეთ, მათი საერთაშორისო ავტორიტეტის შესახებაც კი გათამაშდა ცოდნა, დაეხდა იდეა, ჩვენი გუნდისა და რომელიმე ევროპული გრანდის მონაწილეობით ჩაეტარებინა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მოძრავი საფეხბურთო ფესტივალი.



ორივე მიმართულებით მოსკოვმა დაფარა. გულშემატკივრის ინტერესი რომ დავაკმაყოფილო, მოგახსენებთ, რომ მე დელეგაციის წევრი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგის სტატუსით გავხდი. — კითხილი და პატიოსანი. მოდი, ახლა ვითრად სათქმელზე გადავიდეთ... — ცელიონში გამართული შეხვედრების შემდეგ სინგაპურს ვეწვევით, სადაც ორი მატჩი გველოდა. ისინი იქაურ ცენტრალურ სტადიონზე მოეწყო უამრავი მყურებლის თანდასწრებით. ერთი მათგანი ინგლისში მოღვაწე ადგილობრივი ბიზნესმენი ალ-

რამდენიმე იაპონურ კლუბს თბილისის „დინამო“ და ზემოთ უკვე ნახსენები ერთ-ერთი ევროპული ბობოლა შეუერთდებოდნენ. ამავე პროექტის შესახებმისად, დინარჩენ ეტაპებს ანალოგიური ფორმატით ჯაკარტა, ბანგკოკი, ინდონეზია და თვით სინგაპური უმასპინძლებდნენ, სადაც გაიმართებოდა კიდევ ფინალური მატჩი. რაც შეეხება უმნიშვნელოვანეს კომერციულ მხარეს, ტურნირთან დაკავშირებული ყველა მსხვილმან-წვრილმანი თანხის გადახდას, თითოეული მონაწილისთვის სოლიდური საპრემიო ფონდის ჩათვლით პირადად ორგანიზატორი კისრულობდა.



იყო კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც ჩვენს წიქვილზე ასხამდა წყალს — ფესტივალისთვის ვადად სეზონებს შორის პერიოდი იყო შერჩეული, როცა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მონაწილენი არდადეგებს შავიზღვისპირეთში სანვრთელ შეკრებებზე ოფისი-ღვრაში ატარებდნენ, მაგრამ...

— შემდგომში როგორ განვითარდა მოვლენები? — სინგაპურელი ბიზნესმენთან მიმონერა სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც გაგრძელდა და იგი სისტემატურად გვთავაზობდა პროექტის განხორციელებას. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დინამოელთა 1973 წელს ლირთულად დაძლიეს უფვას თანხის გათამაშების საწყისი ზღუდეები ბელგრადის ოფიცს და სოფიის „სლავიას“ სახით, ხოლო მორიგ მეტოქედ კენჭისყრამ ლონდონის „ტოტენჰემი“ „მოგვისაჯა“. ალბათ, ხვდებით, იგი სწორედ ინგლისის დედაქალაქში ჩვენთან კიდევ ერთი საქმიანი შეხვედრის პერსპექტივით იყო აღფრთოვანებული და იმედოვნებდა, რომ საბოლოო გადამწყვეტილებასაც იქ მივიღებდით.

— კვანძი როგორღა გაიხსნა? — მე აღნიშნული პროექტი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგეს ნოდარ კიკვაძეს გავაცანი, რომელმაც თავიდანვე ნეგატიური პოზიცია გამოხატა. იგივე განმეორდა მეორე დღესაც, როცა რესპუბლიკის სპორტკომიტეტისა და თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელები მიიწვია საკუთარ კაბინეტში. მან შეხვედრაზე პირდაპირ განაცხადა, რომ ცეკა უარყოფითად აფასებდა და სახელეულ შემოთავაზებას. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამით ყველაფერს წერტილი დაესვა. მეტიც — „მამლებთან“ საპასუხო ძიძგილაობაზე ჩვენი გუნდი უჩემოდ გაუშვეს. დავძენ, რომ განწირული იდეის ავტორი მომავალშიც ცდილობდა დაკავშირებას, მაგრამ აღარაფერი შეცვლილა.

ესაუბრა ბია პლატონიშვილი

ბინდ დაიჯერეთ, ბინდ არა

თან ვიზანაოთ, თან ჰოკეის ვუცქიროთ...

ფინეთის ექვსჯგზის ჩემპიონის, 1994 და 1996 წლებში ევროპის ჩემპიონთა თასის და 2003 წელს საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელის, პოპულარული ჰოკეის გუნდის „იოკერიტის“ შემქმნელ გულშემატკივრებს, რომელიც ცოტა ხნის წინათ რუსეთელებმა შეიძინეს, შეხვედრების ცქერა ტრიბუნაზე მოწვეობილი... საუნიდან შეეძლება.

უძლია. თუმცა კი ტანზე წყლის გადასავლებად შესვლა 10-15-კაციანი კონტინენტს უწევს, რადგან საშხაპეში მეტი ხალხი ვერ ეტევა. — საუნები მუდამ ხალხითაა სავსე, — ამბობს „იოკერიტის“ პრესმდივანი. — თავდაპირველად დანარჩენ მაყურებელთაგან ბევრი საჩივარი შემოვიდა, რადგან ზენრებში გახვეული აბანოს მოყვარულები გასაგრილებლად პირდაპირ ტრიბუნებზე გადიოდნენ, თუმცა მერე მათ ამის გაკეთება ავუკრძალეთ.

საუნებში განათების ლამპიონები არ არის, მხოლოდ დასაჯლოში ადგილებია მკრთალად განათებული, რათა აბანოს მუშტრებს გარედან ვერავინ ვერ ხედავდეს. ამ საამოვნების ერთჯერადი საფასური 1500 ევროდან იწყება. ეს, თვალის ერთი გადავლებით, ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ მისი ხიბლი ისაა, რომ ასეთი მომსახურება მსოფლიოში სხვაგან არსად არ არის.

დაახ, ფინელებმა თავიანთი ტრადიციული საუნების ტრფიალებსა და ამავედროულად ჰოკეის გულშემატკივრებს ამ ორი გატაცების შესარწყმელად საგანგებო პირობები შეუქმნეს. ზის გულშემატკივარი ლოჟაში მოწყობილ თაროზე, გავარჯრებულ ქვეზე ცივ წყალს ასხამს, ოფლს იდენს და თან სპორტულ პაეკრობასაც უცქერს. კლუბის არენის ტრიბუნაზე, სადაც „იოკერტი“ თავის მეტოქეებს მასპინძლობს, ერთბაშად ორი საუნაა. ერთი, შედარებით პატარა, კლუბის პრეზიდენტის პირად ლოჟაშია, მეორე კი ყველაზე დიდში, რომლიდანაც სპორტული პაეკრობის თვალის დევნება ერთბაშად 50 კაცს შე-



სსპდასსპა

კვლავ სასჯელაღსრულების სისტემაზე

სისტემური დანაშაულის შესახებ და მისთვის სამართლებრივი შეფასების მისაღებად, საქართველოში გერმანელი ექსპერტი იმყოფება. ევროპელი სპეციალისტის მოწვევა სისტემური დანაშაულის შეფასების კუთხით გამოცდილების არარსებობამ განაპირობა. ამ მხრივ გერმანელმა კარგი გამოცდილება აქვს, გარეთიანდა რა ორი გერმანია, აღმოჩენილი გერმანიაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები იქნა შესწავლილი და ამ მხრივ დიდი გამოცდილება დაუგროვდა.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ საქართველოსთვის ეს მასშტაბები, რაც გამოძიების დროს გამოვლინდა, არის უპრეცედენტო, შესაბამისად, კვალიფიკაციის მხრივ დანაშაულისთვის სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემისთვის პროკურატურაში მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ დახმარება ევროპელი პარტნიორებისათვის ეთხოვა.

„ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს ჩვენი პოლიცია და შეფასებები, მაგრამ ჩვენი უცხოელი კოლეგების შეფასებები ჩვენთვის მნიშვნელოვანია,“ – განაცხადა for.ge-სთან საუბრისას მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის უფროსმა კახაბერ წერეთელმა.

პირველად საქართველოს ისტორიაში საგამოძიებო უწყება სასჯელაღსრულების სისტემაში წლების განმავლობაში ჩადენილ სისტემურ დანაშაულს იძიებს, რომლის ფარგლებშიც უკვე დაიკითხა 3000-ზე მეტი პატიმარი და ციხის ასეულობით თანამშრომელი. პატიმრები და ციხის ათეულობით თანამშრომელი თავის ჩვენებებში ადასტურებენ, რომ გასული წლების განმავლობაში ხდებოდა სისტემური დანაშაული

და პატიმრებზე ზემოქმედების მიზნით გამოიყენებოდა არაადამიანური მოპყრობის მეთოდები.

2013 წლის 25 ივლისს მთავარ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სასჯელაღსრულების სამინისტროს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის ცალკეულ პირთა მიერ სამსახურებრივი გულგრილობის სავარაუდო ჩა-

შუალელებითა და მეთოდებით, როგორც საკნებში, ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულების ღია ტერიტორიაზე. მოძალადეები კი ამავე დაწესებულების მაღალჩინოსნები იყვნენ. შესაბამისად, ძალადობის ეს ფაქტები რჩებოდა სათანადო რეაგირების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტები რეგულარულად აისახებოდა სახალხო დამცველისა და საერთაშორისო უფლებამცველი ორგანიზაციების ანგარიშში.

გერმანელი ექსპერტი ქართულ ციხეებში სისტემურ დანაშაულს სწავლობს

დენის ფაქტზე. პატიმართა ფიზიკური შეურაცხყოფისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებამ, მონშის სახით, უკვე დაკითხა სასჯელაღსრულების ყოფილი მინისტრი ნათუნა კალმახელიძე, რაც შეეხება დიმიტრი შაშკინს, მას გამოძიება უახლოეს დღეებში დაკითხავს. ამავე საქმეზე, უახლოეს დღეებში, მონშის სტატუსით, ასევე, დაკითხება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ბაჩანა ახალაია.

როგორც ცნობილია, წლების განმავლობაში, პატიმართა ცემანამებდა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები იყო სასჯელაღსრულების თითქმის ყველა დანესებულებაში და იგი ხორციელდებოდა სისტემურად, ჯგუფურად, რამდენიმე წლის მანძილზე, ყოველდღიურად, სხვადასხვა სა-

რეგულარულ მანქანებზე მიაღწია როგორც პატიმართა რაოდენობამ, ასევე –სიკვდილიანობამ. გარდაცვალების მიზეზად ყველა შემთხვევაში სამინისტრო გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობას ასახელებდა, თუმცა, საპირისპიროს ამბობდა გარდაცვლილებში არსებული ანტიპროტროპული და სხვა ფაქტები. 8 წლის განმავლობაში ქართულ რეფორმირებულ ციხეში 794 ადამიანი გარდაცვლილი.

სტატისტიკური მონაცემებით, 2003 წელს 52 პატიმარი გარდაიცვალა; 2004-43; 2005-47; 2006-92; 2007-100; 2008-90; 2009-90; 2010-144; 2011-132; 2012-67 და 2013-16. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის მარტში 21 ადამიანი გარდაიცვალა

ლა, ოფიციალური ინფორმაციით გარდაცვალების მიზეზი გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა გახდა. გარდა ამისა, დაფიქსირდა 36 თვითმკვლელობის ფაქტი, თუმცა აქედან ნაწილზე ძალიან სერიოზული ეჭვი არსებობს, რომ ისინი არიან მოკლულები და შემდეგ ჩამოკიდებულები. მარტო 2008 წელს, 8 თვითმკვლელობა მოხდა. დადგენილია ნაძალადევი სიკვდილის 52 ფაქტი.

ასეულობით ადამიანი დასახინა-

მიზეზებს, გარდაცვლილთა აბსოლუტურ უმრავლესობას გარდაცვლების მიზეზად უწერია გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა. სიკვდილის უშუალო მიზეზი ხშირ შემთხვევაში ნამდვილად არის გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, მაგრამ ეს არაა დაავადება და სიკვდილის მიზეზი. გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა ეს არის მდგომარეობა, რომელიც ბოლო ეტაპზე ვითარდება, ამიტომ მისი მიჩნევა როგორც გარდაცვალების მიზეზი, არის არააუსტის, არა არაობიექტური, – აცხადებს თალაკვაძე.

მისივე თქმით, 6 ათასზე მეტი საჩივრია პროკურატურაში შესული. ეს არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც ზოგი სარდაფში, ზოგი საკანში, ზოგი დერეფანში, ზოგი პროზექტურაში იყო ნანამები და შედეგად თვალსაჩინოა. როგორც თალაკვაძე ამბობს, ყველა ამ საქმეში სხვადასხვა პირობა ჩართულია და ბუნებრივია, გამოძიება თითოეულ შემთხვევაზე მიმდინარეობს.

„დღეს, ვერ იპოვით ვერც ერთ დაწესებულებაში ფაქტს, სადაც ადამიანებს დაამკვრივეს, სადაც ადამანეს სცემენ და იღებენ დაზიანებას ძალადობის შედეგად. ის ფაქტი, რომ გლდანში ადამიანებს დღის განმავლობაში უკვეცადენ სანოლებს და ჩამოჯდომაც კი ეკრძალებოდათ, ეს არაა ჩვენი მიდგომა. ჩვენი მიდგომაა, რომ ადამიანებს ჰქონდეთ ფიზიკური აქტივობის საშუალება, ჰყავდეთ ფსიქოლოგი, რომ მოუვლავდეთ მათ ფსიქიკური პრობლემები, ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ ჯანდაცვაზე. ჩვენ არ ვმოქმედებთ ადამიანების განადგურებისა და მათი განეიტვების პრინციპით. ჩვენ ვმოქმედებთ ცვლილებების პრინციპით,“ – აცხადებს არჩილ თალაკვაძე.

თამთა ძარჩავა

რას ვჭამთ, რას ვსვამთ?

„უსახელო“ კვების სისტემის სახელის გატეხვის ამახვი

კამბოი იმის თაობაზე, თუ რა იყო პირველი – კვრები თუ ქათამი, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად დიდი ხანია მიმდებარეობს, თუმცა ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის, თავისი ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, კვრები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი პროდუქტია ყოველდღიურ რაციონში. ამიტომაც, მის ფასსა და ხარისხს გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა კი ბაზრის კვლეებით დადასტურებული მონაცემებით მდგომარეობა ამ მხრივ მთლიანად საგანგაშო თუ არ არის, ყოველ შემთხვევაში რამდენიმე სერიოზულ პრობლემას წარმოშობს, რომელთა გადაჭრა, სხვათა თანავე დაგვიწევს, სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად, აუცილებლად დროულად და საჭირო.

წელი სამსახურის მონაცემებით შარშან საქართველოში მთლიანად მილიონ 255 ათასი დოლარის ღირებულების კვრები შემოიტანეს, წლიდან წლივს პროცენტით კი ეს მაჩვენებელი თითქმის გარამცხდებდა ჩვენში კვრების იმპორტს ხელს უწყობს მისი დაბალი ფასი და ზოგიერთი მსხვილი მომხმარებლის, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს პოლიცია, რომელიც საჯაროს ნაწილებს ირანული კვრებით ამარაგებს, როგორც ეს ცოტა ხნის წინათ მეფრინველობის განვითარების ასოციაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს. თუმცა შემდგომ თავდაცვის სამინისტრომ ეს ინფორმაცია უარყო და გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ შეიარაღებული ძალების კვებას ორი ფირმა

ბელ ქვეყანაში, საიდანაც მისი იმპორტი ხორციელდება. საქართველოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სააგენტოს სათანადო დადგენილებაში შესაბამისი ცვლილება შევიდა, რომლითაც დადგინდა, რომ 10 ივლისიდან იმპორტული კვრების ყველა პარტიას მწარმოებელი ქვეყნის სახელი და წარმოების ვადა უნდა იყოს მითითებული.

ცალკე საკითხია კვრებში დიოქსინის არსებობის დადგენა და საკვებზე კონტროლის ზედამხედველობა, რომელმაც შესაბამისი შეიძლება მოხდეს. ამასთან დაკავშირებით სააგენტოში აცხადებენ, რომ მათ უცხოეთში ფრინველის საკვების შემოწმების შესაძლებლობა აქვთ, საიდანაც კვრების იმპორტირება ხდება, თუმცა კი, სიმართლე გაითხროს, ეს გარემოება, ცოტა არ იყოს, ეჭვს ბადებს თუნდაც იმდენი, რომ დიოქსინის შემცველობაზე ადგილობრივი პროდუქტია მოწმდება თუ არა, რბილად რომ ვთქვათ, ჯერაც უცნობია. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს პროცედურა საკმაოდ სოლიდურ ხარჯთანა-



უზრუნველყოფს, კერძოდ, „ქართული კვრების კომპანია“ და „ელფი“, რომელიც თავადაც პირველი ფირმა „კოდის“, ხოლო მეორე ფირმა „სავანეთის“ პროდუქტით ამარაგებს. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში ასევე საზუსტითაა ნათქვამი, რომ განსაზღვრული დამლევამდე საქართველოს საჯაროს ნაწილების რაციონში ქართული სასურსათო პროდუქტის წილი 10 პროცენტის გაზრდა და 5 პროცენტის შეადგენს.

თუმცა ადვოკატი, რომელიც განსწავლავს, როგორც მწარმოებლის, ისე მისი მფლობელის, როგორცაა დიოქსინის შემცველობა, რომელიც დადგენის შემთხვევაში უნდა შეასრულოს, რის უპირობო ვალდებულებაც აკისრია.

ოთარ ტურაბალიძე

ინფორმაცია

ტყუპს ვეღარ გაანადგურებენ

სამიწარმო მიზნებისთვის ხეტყის უკანონო ტრანსპორტირებასა და რეალიზაციაზე სანქციები მკაცრდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს დაცვის სამინისტროდან აცნობეს, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი უკვე შემუშავებულია. გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული კანონპროექტი მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ და საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი იქნება საქართველოს პარლამენტის წინაშე მიმდინარე წლის საშემოდგომო სესიაზე განხილვის მიზნით.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხეტყის ზედანადების გარეშე ტრანსპორტირების შემთხვევაში, თუ მისი საბაზრო ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს, საბართლადამრღვევს ეკისრება მხოლოდ 500-ლარიანი ჯარიმა ხეტყის კონფისკაციის გარეშე. სამინისტროს მიერ შემუშავებული ცვლილების თანახმად, მკაცრდება სანქცია: ზედანადების გარეშე ხეტყის ტრანსპორტირებისათვის პირი დაჯარიმდება 5 000 ლარით, ხოლო ხეტყე დაეჭვებდება კონფისკაციას.

რატი სამყურაშვილი დააკავეს

სამმართველოში მდებარე პარლამენტის ყოფილი წევრი რატი სამყურაშვილი დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანი განუცხადა, სამყურაშვილის აგვანა ნარკოდანაშაულისთვის მოხდა. მისივე განმარტებით, სამყურაშვილი რამდენიმე პირთან ერთად დააკავეს. ყოფილ დეპუტატი წინასწარი დაკავების იზოლაციონშია მთავანებული.

12 წლის მოზარდი ნაგებობაში მოყვა

ოცნებისთვის სოფელ მაკვანეთში, ქათამაძეების საცხოვრებელი სახლის ნგრევისას, 12 წლის მოზარდი ნაგებობაში მოყვა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საუბრისას გურის სამხრეთ-დასავლეთის უფროსმა შალვა ბოლქვაძემ განაცხადა, ნგრევის ზუსტი მიზეზები დაუდგინელია. მისივე განცხადებით, ბავშვის გამოყვანა ნაგებობიდან დროულად მოხერხდა და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. – შემთხვევა დაახლოებით დილის 05.20 საათზე მოხდა, ადგილზე მისულებს სახლის შიდა კედელი დაგვდა ჩამონგრეული. გატარებული ღონისძიებების შემდეგ, ბავშვი უვნებლად ამოყვანილი ნაგებობიდან და სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. გარეგნული დათვალიერებით, რაიმე სახის დაზიანება, არ აღინიშნებოდა, – განაცხადა ბოლქვაძემ.

თქვენი, გურბანოვ

ძარბაზი გურბანოვს უცხოური საქმელებით მართლაც ვერ გააკვირვებ. ტრადიციულად მრავალფეროვანია ქართული სამზარეულო. ყველა კუთხეში შეიძლება მართლაც საოცარი კერძი დააგემოვნო. მიუხედავად ამისა მსოფლიოს კულინარიის ოსტატთა ნახევარი სულ უფრო და უფრო ექცევა გურბანოვს ყურადღების ცენტრში. ბევრი კერძი ჰგავს ჩვენს ტრადიციულ კერძს. ერთერთი მათგანი შეგვიძლია ჩვენი გაზრდის მკითხველებსაც „დავაგემოვნებინოთ“.

დამზადების წესი მოითხოვთ, რომელსაც შეძლებისდაგვარად გამოცდილი კულინარებისა და მზარეულების დახმარებით ყოველ შაბათს შემოგთავაზებთ.

ამჯერად წარმოგიდგინოთ „ტამალეს“, არაჩვეულებრივ მქსიკურ კერძს, რომლის მომზადებაც ჩვენი დიასახილსებისთვის სირთულეს არ წარმოადგენს. ტამალეს მრავალი რეცეპტი არსებობს, მისი ინგრედიენტებია სიმინდის ფქვილი და ხორცი. მომზადებასაც დიდი დრო არ სჭირდება და მტად გემრიელიცაა.

ტამალე

საჭირო მასალა

საქონლის ფარში 200 გ., სიმინდის ფქვილი 200 გ., 1 ხახვი, 1 პამიდორი, მარილი, ცხარე წინაკა, სიმინდის ფურჩი, ზეთი.

მომზადება

ხახვი წვრილად დავჭრათ და ზეთში მოვშუშოთ. როდესაც ფერს შეიცვლის, დავუმატოთ ფარში, მოვუროთ და 5-6 წუთი ვშუშოთ. დავუმატოთ გაფქვნილი და წვრილად დაჭრილი პამიდორი. 2-3 წუთში ცეცხლი გამოვრთოთ, ფარში ზავოთ მარილითა და წინაკით. სიმინდის ფქვილს დავასხათ წყალი და მოვზილოთ მჭადის ცომი. სიმინდის ფურჩი (უმჯობესია, განიერი) გავშალოთ, ზედ დავადოთ 1 ს. კ. მჭადის ცომი, 1 ს. კ. მოშუშული ფარში და ქისასავით ან კონვერტით გადავასვიოთ. შევკრათ სიმინდის ფურჩის წვრილი ზოლებით. ტამალე მზადდება ორთქლზე. თუ სპეციალური ქვაბი არა გაქვს, მაშინ ტამალე დავაწყობთ სანურზე, თავზე დავახურთ და მოვათავსოთ ქვაბზე, რომელშიც წყალი დულს. ტამალეს მოსამზადებლად დაახლოებით 25-30 წუთია საჭირო. მზა ტამალე ცხელ-ცხელი მივირთვათ, ფურჩი გადავადგოთ.



ჩვენი პრესლაიჯისტი

კაქონის გზისკენ



„ვიდოქარაბის განადგურება მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა“

ერთადერთი კაცი, ვინც კადრების განადგურებას ეწინააღმდეგებოდა, ექსპერტი კახა კახიშვილი იყო. მისი სამართლიანი შენიშვნები არაერთხელ გაითვალისწინა, და ფირები განადგურებს, რასაც კახა კახიშვილი საერთაშორისო ნორმების დარღვევას უწოდებს. იგი მკითხველს სთავაზობს 7-პუნქტიან არგუმენტს, რატომ არ უნდა განადგურებულიყო კადრები. წესით და რიგით კახიშვილის მოსაზრებები უნდა გათვალისწინებულიყო, მაგრამ არ გათვალისწინეს და ჰგონიათ, რომ მშვიდად დაიძინებენ. არადა, ამ ფირების დედნები თუ ასლები ნებისმიერ მომენტში შეიძლება გამოჩნდეს.

„ახალი თაობა“

სააკაშვილი „კანონიერი ძურღების“ ამინსტიას ვადავს?

პრეზიდენტის ვადის ამონაშენად სააკაშვილს ცოტა დრო რჩება, თუმცა ეს დრო საკმარისი იქნება მისი მორიგი პროვოკაციული ჩანაფიქრის განსახორციელებლად. საქმე ეხება კანონიერი ძურღების შესაძლო ამინსტიას, რასაც თანამდებობის დატოვებამდე გეგმავს პრეზიდენტი და მისი გარემოცვა. „ვერსის“ წყაროს ინფორმაციით, ამინსტიის აქტის გამოცემის მცდელობა პრეზიდენტს უკვე შეეძლო, მაგრამ ბოლო მომენტში გამბედაობამ უღალატა და ხელი არ მოაწერა. ამ ამინსტიით სააკაშვილი ცდილობს, უზრუნველყოს თავისი მშვიდი მომავალი. მან ხომ თავის დროზე კანონიერი ძურღების დაპატიმრებები განახორციელა, რასაც ეს ხალხი მას არასდროს აპატიებს. ამიტომაც გეგმავს ამინსტიას.

„ვერსი“

მაშა ახალაიასაც იძირენ?

რომორც მოსკოვში მცხოვრები ქართველი ზაზა გაბედავა ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ზუგდიდის პროკურატურამ როლანდ ახალაიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, მაგრამ ჯერ მალავენო. მას წაყენებული ჰქონია ბრალდება 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 181-ე მუხლის მე-2 ნაწილით – ფულის გამოძალვა. გაბედავა იმ პირობებშიც ასახელებს, რომლებსაც ახალაიამ პირადი ქონება გამოსძალა – ლამარა ხაინდრავა, ნათია მალაია, კახაბერ ლაბარაიას კი 150 ათასი ლარი საპროცესო შეთანხმების სანაცვლოდ გამოსძალა.

„ალია“

სწრაფი კვების ობიექტებს მოსახლეობის უმეტესობა არ ეწევა

სწრაფი კვების ობიექტებს საზოგადოების უმეტესობა ეჭვის თვალით უყურებს. მიუხედავად ამისა, ისინი უარს მაინც არ ამბობენ და „მაკდონალდსის“ და საშაურმეების ხშირი სტუმრები არიან. სწრაფი კვების ობიექტებში არსებული პროდუქტები რომ ჯანმრთელობისთვის საზიანოა, ამაზე არა მარტო ქართველი სპეციალისტები, არამედ მათი უცხოელი კოლეგებიც საუბრობენ. მაგალითად, შვედი მეცნიერების კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ საქმელი, რასაც „მაკდონალდსი“ მომხმარებელს სთავაზობს, შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევს.

„რეზონანსი“

კადრი



ცინცხალი ანაკლოტავი

ჩვენი ცოლი მთელი ზაფხული სტრიპტიზ ბარში შოულობდა ფულს. თავიდან 50 დოლარს აძლევდნენ, მერე ას დოლარზე გადავიდნენ... ოღონდ ტანზე არ გაეხადა.

მბათუმის საყურადღებოდ ვინც ელოდება ჩქაროსნულ მატარებელს „ბათუმ-თბილისი“. იგი იგვიანებს ერთ საათს. სამაგიეროდ ხუთ წუთში ჩამოდგება საგარეუბნო „საშური-თბილისი“, ამ მატარებელითაც ადამიანები მზავრობენ და ხალხმრავალი დახვედრა სიახლოვებთ. ნუ მოაკლებთ მათ ამ ბედნიერებას და დახვდით.

ერთობის ბინაში ტანტუე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი წევს, მათ გვერდით იატაკზე სიდედრი. ქმარი ეწუწუნება ცოლს.

— დროზე დავიწყობ, რა... — უხერხულია, დედაჩემი გაიგებს.

— მოდი, მოდი... — ისმის ვენებიანი ხვნეშა, რამდენიმე წუთის შემდეგ ცოლი კენისის „ვაიმე, დედა!“

— რა იყო შეილო? — მიუტრიალდება მოხუცი.

— დედა... ხვალისთვის პური იყიდე რა? — სიდედრი თავისთვის ბურტყუნებს: „ეს რა ღორმუცელა სიძე შემხვდა, მთელი ღამის მანძილზე მეშვიდედ მოუწდა პური“.



— ბახდომის საუკეთესო საშუალება ხანგრძლივი ძილი.

— ე, როგორ? — შენ რა ძილშიც ქამ?

— საშხარელო, მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ორი ნამდვილი მამაკაცი მყავდა

— გამოუტყვევდა ცოლი ქმარს.

— მეორე ვინლაა — თვალები ქვიტა ქმარმა.

— ეპ, შენ პირველსაც არ იცნობ.

— მამი, მივიდე რა თოფი

— შევეცი სისულელეებს!

— მივიდე რა, გეხვეწები!

— მორჩი თორემ მიგტყევა, ბოლოს და ბოლოს ვინ არის ამ ოჯახში უფროსი?

— აი, თოფს რომ მივიცი, მერე გაიგებ.

მოსამართლე რთული ოპერაციის შემდეგ ნარკოზიდან გამოდის. ხედავს პალატაში ყველა ფანჯარა დაგმანულია, თან მუქი ფერის ფარდებია და შეგბული. — ექთანო, რა ხდება? ნუთუ ჩემთვის მზის შუქი მავნებელია? — არა უბრალოდ თქვენი ფანჯრების მოპირდაპირე მხარეს შენობა იწვის და არ გვინდოდა გგონებოდათ, რომ უკვე ჯოჯოხეთში მოხვდით.

ავტორთა საყურადღებო! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA გ. ახვლედიანის (მრფილი) პერმისიონის) დ. 19

გამომცემელი: შპს „თინადრომა“-ი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ) 070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი ალექს ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; საბრტაქ მოშულია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა გავაშიძე 514 33-33-24